

# გარდაბნის მუნიციპალიტეტი



გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ გამარჯვებაში და სოფელ ფოლადანთკარში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნა .....	4
3. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	5
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	8
5. დამატებითი ინფორმაცია.....	14
6. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	15
7. დანართი N2 .....	16
8. დანართი N3 .....	17

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.

1.7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.8 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

## **2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

### **2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

#### **2.1.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

#### **2.1.2 ფიზიკური პირებისათვის (ი.მ):**

ა) ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

**2.2** ამ პუნქტის **2.1.1** და **2.1.2** ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-15<sup>ბ</sup>; მე-17 და მე-18 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**2.3** ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

### **3. ტექნიკური დოკუმენტაცია**

#### **3.1 ანგარიშსწორების პირობები:**

**3.1.1** სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**3.1.2** ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით - ლარში.

**3.1.3** ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

**3.1.4** ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ ის შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველი) მიერ დადასტურებული აქტი.

**3.1.5** საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოს შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურითა და ფორმა #2-ით განსაზღვრული თანხის 80%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 20%-ის ანაზღაურება მოხდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტებული პირის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

**3.1.6** შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ისა. (ავანსის საბანკო გარანტია 1 (ერთი) თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).

#### **3.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

**3.2.1.** თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

**3.2.2.** 3.2.1 პუნქტში განსაზღვრული პირობის მიუხედავად, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) და ბ) პუნქტების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -დან 10%-მდე ოდენობით.

**3.2.3.** ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის ვადას.

#### **3.3 ტექნიკური დავალება**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სოფელ გამარჯვებაში და სოფელ ფოლაადანთკარში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები შესრულდება დანართი #3-ის შესაბამისად.

**3.3.1** სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა დამკვეთის მოვალეობაა;

- შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

- შემსრულებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები;
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 1 თვის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
- მიმწოდებელი ვალდებულია ფარული სამუშაოების განხორციელებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინასწარ წერილობით აცნობოს ინსპექტირების გამწვევს და ფარული სამუშაოები განხორციელოს მხოლოდ ტექნიკური ზედამხედველის თანდასწრებით.

**3.3.2** მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი საამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

**3.3.3 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებთან 2012, 2013, 2014 და 2015 წლების განმავლობაში (თითოეულ წელიწადზე ცალ-ცალკე) ჯამში არანაკლებ 2819000 (ორი მილიონ რვაასცხრამეტი ათასი) ლარის ღირებულების ანალოგიური (გზები) სამუშაოების გამოცდილება.**

### **3.4 სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი**

**3.4.1** შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა #2-ის საფუძველზე და ტექნიკური დამხედველის დადასტურების შემდეგ, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა #2-ის საფუძველზე და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტებული პირის შემოწმების და დადასტურების შემდეგ.

**3.4.2** ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი საამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

**3.4.3** შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებული, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ.

**3.4.4** სამუშაოების დასრულებამდე არაუგვიანეს 3-4 დღისა შემსრულებელი ატყობინებს დამკვეთს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

### **3.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**3.5.1** ხელშეკრულების შესრულების კონტროლს გაუწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური.

### **3.6 მომსახურების გაწევის ვადა**

**3.6.1** სამუშაოების დამთავრების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე.

**3.6.2** მიმწოდებელი მომსახურებას განხორციელებს დანართი #3-ის მიხედვით.

**3.6.3** შესრულებულ სამუშაოზე გარანტია უნდა იყოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის მიერ ექსპლუატაციაში მიღებიდან არანაკლებ 2 (ორი) წელი. საგარანტიო პერიოდში შესრულებულ სამუშაოზე გამოვლენილ წუნს მიმწოდებელი აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით.

### **3.7 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:**

ა) რეკვიზიტები დანართი #2-ის მიხედვით.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა დანართი #3-ის მიხედვით.

გ) სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებთან 2012, 2013, 2014 და 2015 წლების განმავლობაში (თითოეულ წელიწადზე ცალ-ცალკე) ჯამში არანაკლებ 2819000 (ორი მილიონ რვაასცხრამეტი ათასი) ლარის ღირებულების ანალოგიური (გზები) სამუშაოების გამოცდილების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ან შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ები დადასტურებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის მიერ, ან საგადასახადო ანგარიშგაქტურები (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის (მომსახურების) დასახელებაში მითითებული იქნება ანალოგიური სამუშაოები).

#### 4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

##### ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო — ————— 2016წ.

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ  
————— (შემდგომში „მიმწოდებელი“)  
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება  
შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

#### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

#### 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დოკუმენტაციის 3.3 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალებისა და დანართი №3-ის შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **45200000**;

#### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.



3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 შემსყიდველი ვალდებულია აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.

3.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური.

#### **4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები**

4.1 სამუშაოების დამთავრების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე.

#### **5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტის დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის დასრულების შესახებ და წარუდგინოს ანგარიშები (შესრულებული ვალდებულებების შესახებ).

5.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია ან საექსპერტო ჯგუფი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებას და შემოწმების შედეგებს აცნობებს შემსყიდველს, რის შემდეგაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული პირები).

5.3 შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია ან საექსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმების დროს დეფექტის ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს – დაწუნებულ სამუშაოებს და წუნდების მიზეზებს.

5.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

5.5 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

#### **6. ანგარიშსწორება**

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

6.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოს შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურითა და ფორმა №2-ით განსაზღვრული თანხის 80%-ის

ოდენობით, ხოლო დარჩენილი 20%-ის ანაზღაურება მოხდება სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტებული პირის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

6.5 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-სა. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას.

## 7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ღარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს,

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებაზე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## **11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა**

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

## **12 შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია**

12.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნას შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

12.2 საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან, ჩატარებულ სამუშაოზე და მიწოდებულ პროდუქციაზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 2 (ორი) წლიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხარვეზის წარმოქმნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მისი გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

## **13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

### **(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)**

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობა.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებით (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

## **14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (არსებობის შემთხვევაში)**

14.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების –%-ის ოდენობით.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

14.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.

14.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

14.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნახდაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

## 16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინდეს წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## **18. გამოყენებული სამართალი**

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## **19. ხელშეკრულების ენა**

19.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## **20. შეტყობინება**

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

